

ნუგზარ პაპუაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, პროფესორი

სოლომონ დოდაშვილი და კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ქართველი ფილოსოფოსის, მეცნიერისა და კულტურტრეგერის – სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მსოფლმხედველობასა და საოჯახო ტრადიციას მრავალი მკვლევარი შეხებიდა (შდრ.: პაპუაშვილი 2023, 13-62, 189-194), მაგრამ კათოლიკე ეკლესიასთან მისი ურთიერთობის საკითხით დღემდე არავინ დაინტერესებულა. ამის გამო ამ განხრით ნებისმიერი ახალი მასალის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოყვანა სასურველ საქმედ წარმოგვიდგება.

ასევე სასურველია, ვიდრე აღნიშნული შინაარსის მასალებს მიმოვიხილავთ, ამ პიროვნების სარბიელისა და მემკვიდრეობის შესახებ ორიოდე სიტყვა აქაც ვთქვათ (ვრცლად: პაპუაშვილი 2023: 13-188).

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს სიღნაღის მამრის სოფელ მალაროში მღვდელ ივანე (იოანე) დოდაშვილის ოჯახში; დაამთავრა სიღნაღის სამრევლო სკოლა და თბილისის სასულიერო სემინარია, სადაც, საღვთისმეტყველო და საგანმანათლებლო საგნების გარდა, რუსულ, ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებსაც დაეუფლა. 1824 წლის სექტემბერს ის ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, რომლის კურსი 1827 წლის 19 მაისს დახურა. სტუდენტობის დროს მან დაამუშავა თემა – „ფილოსოფიის შესავალი – ლოგიკა“, რომელიც დაიბეჭდა და სახელმძღვანელოს სტატუსი შეიძინა.

სოლომონ დოდაშვილი არის პირველი ქართველი, რომელიც საერო-საუნივერსიტეტო განათლებას ეზიარა, ხოლო მისი „ლოგიკა“ იყო მოცემული დარგის პირველი სახელმძღვანელო რუსულ ენაზე იმპერიის მასშტაბით.

1827 წლის 27 ივლისს სოლომონ დოდაშვილი ჩამოდის საქართველოში და თბილისის გიმნაზიის პედაგოგად ინიშნება. ამ დროს მან დაწერა და 1830 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი – „ქართული ენის გრამა-

ტიკა“, რომელიც, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, ღინგვისტურ მეცნიერებათა იმდროინდელ სტანდარტებს შეესაბამება. მან ბევრი იღვაწა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისათვის: ხელმძღვანელობდა გაზეთ „Тифлиские Ведомости“-ს ქართულ ვარიანტს - „ტფილისის უწყებანი“ და ჟურნალს - „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ესაა პირველი ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი.

სოლომონ დოდაშვილის იდეალს მშობელი ქვეყნისა და ხალხის ევროპულ კულტურასთან ზიარება წარმოადგენდა. მან რუსეთიდან ჩამოიტანა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი ცხოვრების იმდროინდელი ცივილიზაციის კვალობაზე მოწყობის პროგრამა, რის გამოც ის 1832 წლის ცნობილი შეთქმულების მესვეურთა შორის აღმოჩნდა. 1832 წლის 9 დეკემბერს აღნიშნული შეთქმულება გაიცა, რის შემდეგ ის დააპატიმრეს, გაასამართლეს და ჩრდილოეთ რუსეთის ქალაქ ვიატკაში გადაასახლეს. იქ მას ჭლექი შეეყარა და 1836 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა.

სოლომონ დოდაშვილი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მონახულა რუსმა მწერალმა, ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ - ალექსანდრე გერცენმა. მან შემოგვინახა მისი ერთ-ერთი უკანასკნელი სიტყვები: „Лишь бы весной не было хуже, а то пожалуй сделается чахотка [მთავარია, გაზაფხულზე არ გავხდე უფრო ცუდად, თორემ შეიძლება ჭლექი შემეყაროს]“. ეს სიტყვები ჩვენ გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებს გვაგონებს: „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!“

სოლომონ დოდაშვილმა სამეცნიერო-შემოქმედებითი თვალსაზრისით ხუთ წელიწადს იცხოვრა: 1827 წლიდან 1832 წლამდე (დაპატიმრებამდე). ამის მიუხედავად, მან იმ მასშტაბისა და რანგის ლიტერატურული პროდუქცია შექმნა, რომელიც ერთ მოზრდილ ტომს შეადგენს და დიდ საერთაშორისო ინტერესს იმსახურებს. ამის გამო უწოდა მას, დოდაშვილს, ახალი ქართული ფილოსოფიური სკოლის პატრიარქმა შალვა ნუცუბიძემ „ქართული აზროვნების საკვირველება“.

ეპოქა და სივრცე, რომელშიც სოლომონ დოდაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ინტელექტუალური ცხოვრების თითქმის ყველა უბანზე კათოლიკე ეკლესიის აქტიურობით გამოირჩევა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ევროპული ორიენტაციის ამ ინტელექტუალს ამა თუ იმ ფორმით და შინაარსით აღნიშნულ ეკლესიასთანაც ჰქონდა კავშირი. მართალია, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ასეთი კავშირის თაობაზე პირდაპირ მითითებებს ჯერჯერობით ვერ ვადასტურებთ, მაგრამ ირიბი ცნობები მაინც მოიპოვება.

ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც სოლომონ დოდაშვილს პირველად მიუძღვნა მონოგრაფიული ნაშრომი (1893 წელს) და რომელიც წყაროდ მეტწილად ძველი თაობის მოგონებებს ასახელებს, უნიკალურ ცნობას გვთავაზობს და, რადგან ამ ცნობას არა მხოლოდ დოდაშვილის ბიოგრაფიისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიისათვის (და სხვა თვალსაზრისითაც), მას აქ სრულად და უცვლელად წარმოვადგენთ:

„აქ [თბილისის სასულიერო სემინარიაში] ეს [სოლომონი] მეტათ მეცადინეობდა სწავლა-განვითარების საქმეში, ერთობ ეტანებოდა რუსული ენის შესწავლასა და რუსულ წიგნების კითხვას. ამავე დროს დოდაშვილი დაუახლოვდა თფილისში მყოფ ქართველ პატრებს და ამათანაც საკმარისად მეცადინეობდა ფრანგული და ლათინური ენის შესწავლას. ამათის მეოხებით გაიცნა პოლშის ერის მდგომარეობა და წარსული ისტორიული ცნობები. ამ პატივსაცემ ქართველ პატრებმა 1820 წლებში ბევრს ქართველ კაცის შვილებს დასდეს დავალება. ჩვენს მეფეების დროს ქართველი პატრები დიდათ პატივცემულნი იყვნენ, რადგან კაცობრივის მამულის სიყვარულით ესენი სჭარბობდნენ მართლმადიდებელ ქართველთ მღვდლებს. ამათი ექიმობა ჭრილობის შესახებ - კურნება იყო ხოლმე ომების დროს ქართველ მხედრობისთვის. პირუტყვის ექიმობა ამათ საქართველოში ერთობ უმაღლეს ხარისხზე აიყვანეს, მთელს საქართველოში მოჭფინეს ეს, მაგრამ ხშირათ უჩნდებოდენ ისეთი პირნიც, რომელნიც ამათ განძრახულებას ცილსა სდებდენ და ათას ნაირათ სჩაგრავდენ, ამათ იცოდენ ეს და ამიტომაც სხვა და სხვა საქმეების კეთების გარდა ერთობ მეცადინეობდენ ქართველთ შვილების გამოზრდასაც. ამათ დაბადეს მთელი გუნდი ქართველთ თავობისა, რომელთაც საქართველოს სიყვარული უზომოთ შთაუნერგეს გულში. დოდაშვილიც ერთი ამათგანია“ (ჭიჭინაძე 1893, 9).

მაშასადამე, სოლომონ დოდაშვილის აღზრდა-განვითარების საქმეში „ქართველ პატრებს“, ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, საგრძნობი წვლილი შეუტანიათ.

ინფორმაციები, რომლებსაც ციტირებული მონაკვეთი შეიცავს, საყურადღებო და დამაფიქრებელია, თუმცა ზოგ შემთხვევაში _ სიცხადეს მოკლებული, მაგრამ არც თუ ისე დაუჯერებელი და ხელაღებით უარსაყოფი. ცხადია, დასაზუსტებელია შინაარსი ცნებისა „ქართველი პატრები“. „პატრი“ ქართულ რეალობაში ნიშნავს ლათინური წესის მღვდელს, მაგრამ ასეთი წესის ქართველ (ეთნიკურად ქართველ!) სამღვდლო-

ეხას დოდაშვილის ეპოქის თბილისი, ჩვენთვის ცნობილი მასალის თანახმად, ნაკლებად იცნობს. ერთადერთი თბილისელი ქართველი პატრის სახელი, რომელიც იმდროინდელმა საქართველოს ისტორი-ამ შემოინახა, არის ონოფრე („ონოფრიო“) დომინიკელი. ის, მიხიელ თამარაშვილის მიერ მოძიებული დოკუმენტაციის თანახმად, „ეკუთვნის პოლონეთის ერთ მონასტერს“, თუმცა საქართველოში აქტიურად მოღვაწეობს და ეკლესიას გულმოდგინედ ემსახურება (თამარაშვილი 1902, 508; პაპაშვილი 1995, 305). იქნებ ეს პატრიც, მამა ონოფრეც, ჰყავს ჩვენს ავტორს მხედველობაში? ანდა გამოთქმა „ქართველი პატრები“ არა მაინცდამაინც ეთნიკურად ქართველ, არამედ საქართველოს პატრებს გულისხმობს?!

ნათელი არ არის და საგანგებო განხილვას მოითხოვს წინადადება: „პატრებმა 1820 წლებში (20-იან წლებში, ნ. პ.) ბევრს ქართველ კაცის შვილებს დასდეს დავალება“. დაისმის კითხვა: ვინ, რომელი ოჯახების შთამომავალი შეიძლება იგულისხმებოდნენ „შვილებში“, ანდა – კონკრეტულად რა „დავალებაზე“ და რა სახის ამაგზე გვესაუბრება ავტორი? მომდევნო წინადადება თითქოს ოდნავ ფანტაზს ბუნდოვანებას, რადგან პატრების გარჯის მოტივსა და მთავარ მიზანს აცხადებს. ეს წინადადება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი საქართველოში ტოლერანტობის დეფიციტს ხედავდნენ და ამის მიზეზად განათლების ნაკლებობას ასახელებდნენ, რის გამოც მის აღმოსაფხვრელად ძალას და ღონეს არ იშურებდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ გამოთქმა „კაცობრივი მამულის სიყვარული“, რომელიც თითქოს პატრებს მეტი ჰქონდათ, ვიდრე „მართლმადიდებელ ქართველ მღვდლებს“, ერთგვარ კოსმოპოლიტურ პატრიოტიზმს გულისხმობს პროვინციული პატრიოტიზმის საპირისპიროდ. გამოდის, რომ კათოლიკე პატრები კოსმოპოლიტი პატრიოტები იყვნენ, მართლმადიდებელი მამაოები კი – პროვინციული პატრიოტები. ამიტომ „ქართველი პატრების“ მთავარ საზრუნავს, კონტექსტის თანახმად, ამ ქვეყნის მომავალი თაობის მსოფლმხედველობის ველის გაფართოება და „საქართველოს სიყვარული“ მაღალ რეგისტრში აყვანა წარმოდგენდა. და, აი, მიზნისთვისაც მიუღწევიათ: მათ ასეთი პატრიოტული ცნობიერებით გამსჭვალული ქართველთა ახალი თაობის „მთელი გუნდი“ გაუზრდიათ!

ასეა თუ ისე, ცნობა სემინარიელი სოლომონის კათოლიკე სამღვდელოებასთან დაკავშირებისა, ანუ, რაც იგივეა, – ცნობა ამ სამღვდელოების ამგვარი ღვაწლის შესახებ ნამდვილად უნიკალურია. სამწუხაროა, რომ წყარო არც ამ შემთხვევაშია დასახელებული, რაც ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერების ზოგადი და ცნობილი ნაკლია. ამის მიუხედავად, ამ ცნობის უპირობოდ უარყოფის საფუძველი არ გაგვაჩნია, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

გვმართებს, გავითვალისწინოთ შემდეგი: ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ ზაქარია ჭიჭინაძე თავისებური და ერთობ უცნაური სტილის მკვლევარია. სავსებით მართალია აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, როდესაც ამბობს: ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომების „ხელში აღება შესაძლებელია მხოლოდ პრინციპული წინასწარი უნდობლობით მათდამი“ (კეკელიძე 1980, 22). ამასთანავე ირკვევა, რომ ზაქარია ჭიჭინაძე კვლევის პროცესში შეგნებულ ტყუილს არ ამბობს; მისი ნაწერები, რომლებიც მოუწესრიგებული სტილისა და ფორმის გამო მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს (ამის დასტურად ციტირებული ტექსტიც გამოგვადგება), ჭეშმარიტების მარცვლებს თითქმის ყოველთვის შეიცავს (პაპუაშვილი 2008, 19-31). დიდი ალბათობით ამ შემთხვევაშიც ასეა. ამის საფუძველს, პატრი ონოფრეს დამოწმების გარდა, ქვემოთ მოხმობილი ინფორმაციებიც გვთავაზობს.

აღნიშნული მონოგრაფია, როგორც აღვნიშნეთ, დიდადაა დავალებული სოლომონ დოდაშვილის თაობის იმ წარმომადგენელთა მოგონებებით, რომლებსაც ავტორი, უეჭველია, პირადად იცნობდა და ამ თემაზე მათ ხშირად ესაუბრებოდა. მათგან ზოგიერთი ქართველ კათოლიკეთა თემს წარმოადგენდა და, ცხადია, როგორც ზემოთ მოყვანილი, ისე ქვემოთ განხილული ინფორმაცია ამ თემის წარმომადგენელთა ნაამბობსაც ითვალისწინებს.

აღნიშნულ კათოლიკეებს პიროვნულად ზაქარია ჭიჭინაძე ასახელებს ნაშრომებში, რომლებიც სოლომონ დოდაშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობას ეძღვნება (ჭიჭინაძე 1916, № 219: 3; № 220: 2-3; ჭიჭინაძე 1919). ამ ნაშრომებიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება სოლომონ დოდაშვილის საგანმანათლებლო და პოლიტიკური საქმიანობის ერთი დეტალი: მის მიერ კულტურულ-საგანმანათლებლო და ეროვნული ხასიათის შეხვედრების – კრებების „ხშირად გამართვის“ ამბავი. ჩვენს ყურადღებას ამჯერად ინფორმაციის ის დეტალი იქცევს, რომლის თანახმად, ამ კრებების „წევრებად ირიცხებოდნენ, სხვათა შორის, იმ დროს კარგად ცნობილი ოჯახის შვილი, თავ. ალექსანდრე ჩიქოვანი (ქართველი კათოლიკე) (...)“ (ჭიჭინაძე 1916, № 220: 2) და „ლუკა ისარლოვი“ (ჭიჭინაძე 1919, 11).

ორივე დასახელებული „წევრი“ ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილი ფიგურაა (კალენდარი 1894, 489-491), თუმცა პირველის შესახებ ერთობ მწირი მასალა მოიპოვება.

ერთადერთი პირველწყარო ალექსანდრე ჩიქოვანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გასათვალისწინებლად, რომელიც ჩვენთვის ამჯერად ხელმისაწვდომია, არის ჟურნალი „ცისკარი“. მასში, 1857-1858 წლის ნომრებში, წარმოდგენილია მისი რამდენიმე ლექსი და ნეკროლოგი

მასზე (შდრ.: ბიბლიოგრაფია 1940: 254), რომელთა მეშვეობით ჩვენ ამ პიროვნების სულიერ სამყაროსა და სოციალურ მდგომარეობაზე გარკვეულ ცოდნას ვიძენთ. ნეკროლოგი („სამწუხარო ამბავი“), რომელსაც ხელს აწერს რედაქტორი ივანე კერესელიძე, შემდეგს გვაუწყებს: თავადი ალექსანდრე ჩიქოვანი იყო აღნიშნული ჟურნალის ერთგული თანამშრომელი, რომელიც „ქართულ ლიტერატურას ამშვენებდა“. ის გარდაიცვალა 1857 წლის 26 მაისს „შუადღის 5 საათზე“ 52 წლის ასაკში ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (კერესელიძე 1858, 84).¹ აქედან ირკვევა, რომ ალექსანდრე ჩიქოვანი დაბადებულა 1805 წელს და ის, მაშასადამე, სოლომონ დოდაშვილის თანატოლი ყოფილა. თუკი მის სამოქალაქო-პატრიოტულ სულისკვეთებას, მისსავე პოეზიაში წარმოჩენილს, გავითვალისწინებთ, არაფერი შეგვიშლის ხელს ვიფიქროთ, რომ მას თანაქალაქელ სოლომონთან მეგობრობა აკავშირებდა და, მაშასადამე, ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაციის ეს ნაწილი ნდობას იმსახურებს. აღმსარებლობის საკითხს რაც შეეხება, ამ მკვლევრის ცნობა უნიკალურია და საჭიროა სათანადო დოკუმენტაციის მოპოვებისათვის ზრუნვა.

მეორე „წევრის“ ვინაობისა და აღმსარებლობის საკითხში გამოსარკვევი არაფერია: „ლუკა ისარლოვი“ არის მე-19 საუკუნის შუა წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე – ლუკა სტეფანეს ძე ისარლიშვილი (ისარლოვი) (1814-1893).² ის მესხურ-კათოლიკურ თემს წარმოადგენდა, თუმცა თბილისში დაიბადა და გაიზარდა; მოღვაწეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ ასპარეზზე როგორც სახელმწიფო მოხელე, პოეტი, ჟურნალისტი და მკვლევარი; ემსახურებოდა ცარიზმს და 1881-1888 წლებში სახელმწიფო ცენზორის მოვალეობასაც ასრულებდა (ხუციშვილი 1980: 542-543; ჯოლოგუა 2018: 359-360; არველაძე 1978: 16, სქ. 3). ამის მიუხედავად, ის სამშობლოს ერთგულ მსახურად და გულმხურვალე კათოლიკედ გვევლინება.

ლუკა ისარლიშვილის წერილობითი მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარია. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ნაშრომზე – „კათოლიკენი საქართველოში“ (ისარლიშვილი 1898), რომელიც, ბევრი თვალსაზრისით, გამოირჩევა, თუნდაც დახვეწილი სალიტერატურო ქართულით. მასში მოცემულია პოლემიკა სომხურ გაზეთებთან კითხვაზე: არსებო-

¹ ამდენად, დაზუსტებას მოითხოვს ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდრის“ ის ადგილი, რომელიც ალექსანდრე ჩიქოვანის გარდაცვალების თარიღად 1859 წელს ასახელებს (კალენდარი 1895: 491).

² ეს თარიღები მოცემულია „ვიკიპედიაში“. ზემოთ დამოწმებული კალენდრის დასახელებული გამოცემა დაბადების თარიღად 1815 წელს უთითებს (კალენდარი 1895: 489).

ბენ თუ არა ბუნებაში ქართული ეთნოსის კათოლიკეები? პასუხი დადებითია და ქართველი კათოლიკეების ეროვნული ინტერესების შესაბამისი არგუმენტაცია და ანალიზი კი – სოლიდური. თითოეული პასაჟი საგანგებო განხილვას იმსახურებს, რაც წინამდებარე მიმოხილვის ფარგლებს სცილდება. ამ შემთხვევაში იმ ადგილის წარმოჩენით შემოვიფარგლებით, რომელიც ნათლად გამოხატავს ავტორის როგორც კონფესიურ კუთვნილებას, ისე კვლევა-ძიების სტილს და მეცნიერულ სიახლედაც წარმოგვიდგება:

„(...) კათოლიკეთა პატრები საქართველოში ჯერ ისევ IX საუკუნეზე ადრე იყვნენ, რომ მათ საკუთარი ეკლესიები ჰქონდათ როგორც თავიანთთვის, აგრეთვე მრევლისათვის (...) და რომ ეს ეკლესიები მაჰმადიანთა შემოსევის და ტფილისისა და საქართველოს აოხრების დროს განადგურებულ იქმნა. ამას მოწმობდნენ საქართველოსა და ტფილისში მრავლად დარჩენილი ნანგრევები, რომლებიც ბლომად მოიპოვებოდნენ რუსეთის მთავრობის დროსაც კი ამ საუკუნის ნახევარში. (...)“ (ისარლიშვილი 1898, 5).

ციტირებული ტექსტი წარმოადგენს ნაშრომის შემაჯამებელ ნაწილს, რომელიც, როგორც ვხედავთ, მოულოდნელ და ერთობ თამამ განაცხადს შეიცავს. ბუნებრივად წამოიჭრება კითხვები: აქვს თუ არა ამ სიტყვას რაიმე საყრდენი ანუ, რომ დავაკონკრეტოთ, „საქართველოსა და ტფილისის“ რომელი „ნანგრევები“ იგულისხმება ამ შემთხვევაში? ანდა, რის საფუძველზე შეიძლება იფიქროს კაცმა საქართველოში „კათოლიკეთა პატრების“ მე-9 საუკუნემდე ყოფნა? პირველ კითხვაზე არავითარი პასუხი არ გავაჩნია. მეორეს რაც შეეხება, ეჭვი არაა, რომ ავტორი იცნობდა წმიდა ნინოს ცხოვრების უძველეს ვერსიას და სხვა წერილობით წყაროებს, რომელთა თანახმად, საქართველოს განმანათლებელი სულიერ კავშირში იმყოფებოდა დასავლეთის ეკლესიასთან: რომის პაპმა ქართლის ეკლესია დალოცა, მისმა წარმომადგენლებმა ამ ქვეყანაში მისი ლოცვა-კურთხევა შემოიტანეს და რომთან ეს ურთიერთობა ასე თუ ისე შემდგომ საუკუნეებშიც გაგრძელდა. ამ ურთიერთობის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება „კათოლიკეთა პატრების“, ე. ი. ლათინური წესის სამღვდელოების, საქართველოში გზადგება შემოსვლა და მათი ტიპიკონის – ლათინურ-რომაული წეს-განგების – ბერძნულ-ბიზანტიური წეს-განგების გვერდით აქაც ფუნქციონირება (შდრ.: პაპუაშვილი 2019, 11-14). ასე რომ, კათოლიკე სწავლული ამ საკითხში, დიდი ალბათობით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ეყრდნობოდა და გამოხატავდა კათოლიკეთა რწმენას რომაულ-კათოლიკური ტრადიციის საქართველოში უძველესი დროიდან არსებობის

შესახებ. თუ რის გამო მიიჩნევს ის „IX საუკუნეს“ საქართველოში კათოლიკობის ისტორიის მიჯნად, ანდა რის მიჯნად თვლის ის აღნიშნულ საუკუნეს, ნათელი არ არის და პასუხი მეტ დაკვირვებას მოითხოვს.

ცნობილია ლუკა ისარლიშვილის მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე, როგორც თანაკლასელსა და სოლომონ დოდაშვილის მოსწავლემ. აქედან ვასკვნით, რომ ის, თავადაც, სოლომონ დოდაშვილის ნამოწაფარია და, ბუნებრივია, მისი მეხსიერება მასწავლებელზე არა ერთსა და ორ მოგონებას ინახავდა.

გვახსენდება ვალერიან გუნიას ინფორმაცია, რომ „ლუკა იყო თანამედროვე ყველა ჩვენი გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ 1832 წლებში“ (კალენდარი 1895, 490). ცხადია, ლაპარაკია 1832 წლის შეთქმულებაზე და თითქოს იმაზეცაა მინიშნება, რომ მასში სოლომონის მოწაფე ლუკაც მონაწილეობდა. თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმას, რომ შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი სწორედ სოლომონი იყო (პაპუაშვილი 2023: 92-131) და, მეორე მხრივ, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობას ამ მამულიშვილების სულიერი კავშირის თაობაზე მინიშნებას (ანუ ჰიპოთეზას) 17-18 წლის ლუკას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის თაობაზე, არსებობის სრული უფლება მიეცემა. ამ უფლების ხარისხი გაიზრდება, თუ ასევე მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომლის თანახმად, 1832 წლის შეთქმულება რელიგიური თვალსაზრისით ერთობ ღია და თავისუფალ ორგანიზაციას წარმოადგენდა. შესაბამის ლიტერატურაში აღნიშნულია შემდეგი: „შეთქმულების საქმეზე პასუხისგებაში იქნა მიცემული 145 კაცი სხვადასხვა წოდებისა და რწმენისა“ (თავიშვილი 1948, 290); „საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ პატრიოტთაგან შეთქმულები აწყობდნენ 500-კაციან რაზმს, რომელიც უნდა მიხმარებოდა აჯანყებულ ქართველებს. 1832 წ. შეთქმულებას მხარს უჭერდნენ აგრეთვე პატიოსანი და მოწინავე რუსი მოხელეები: ანდრეი მელნიკოვი (თბილისის პოლიცემისტერი), პეტრე ზავილეისკი (თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი), დიმიტრი პაუშენკო (დუშეთის მაზრის ისპრავნიკი) და სხვ.“ (იქვე, გვ. 292). ეჭვი არაა, რომ 1832 წლის შეთქმულების ასეთი ღიაობა სოლომონ დოდაშვილის, როგორც ამ მოძრაობის იდეოლოგის და საგანმანათლებლო სექტორის ხელმძღვანელის, დამსახურებაა.

ცნობილია, თუ როგორ თანამშრომლობდა ლუკა ისარლიშვილი ზაქარია ჭიჭინაძესთან; უკანასკნელმა მისი ლექსების კრებული გამოცა (თბილისი, 1894) და, როგორც ჩანს, ის მოგონებაც ჩაინიშნა, რომელიც სემინარიელი სოლომონისა და „ქართველი პატრების“ შეხედულებათა გარკვეულ თანხვედრაზე მიგვითითებს. ლუკა ისარლიშვილს

ეყრდნობა ზაქარია ჭიჭინაძე, როდესაც ამბობს: მელიტონ ბარათა-შვილის ოჯახში სოლომონ დოდაშვილს ხშირად მოჰყავდა სტუმრად საქართველოში გადმოსახლებული „პოლონელი პროფესორები“; ის, სოლომონი, „მუდამ დღე ამ პროფესორებთან გახლდათ და საუბრებს მართავდა სხვადასხვა საკითხების შესახებ“ (ჭიჭინაძე 1916, № 219: 3). „პოლონელი პროფესორები“, მეტწილად მაინც, კათოლიკეები უნდა ყოფილიყვნენ და იქნებ „პატრებიც“? ისინი, ონოფრე დომინიკელთან ერთად, უსათუოდ დაეხმარებოდნენ მათდამი კეთილგანწყობილ ქართველ სწავლულს რომაული საეკლესიო-ეთნოგრაფიული ტრადიციის უკეთ გაგნობასა და შესწავლაში. და სოლომონ დოდაშვილის მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობაც მიგვანიშნებს, რომ ის რომის კათოლიკე ეკლესიასთან დაკავშირებულ სამყაროს რიგთანად იცნობდა.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ მოთხრობა „ჟინევრა“, რომელშიც შთამბეჭდავადაა ასახული კათოლიკური ფლორენციის კოლორიტი; მიცვალებულთა საფლავად დადების იქაური წესი და ერთი არაჩვეულებრივი შემთხვევა (ტექსტი დაბეჭდილია ბევრჯერ). მეცნიერებაში ეს ნაშრომი მიჩნეულია თარგმანად, თუმცა დედანი მითითებული არ არის (შდრ.: დოდაშვილი 1989, 401) და, მაშასადამე, ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები გაურკვეველია. იმის მიუხედავად, გაირკვევა თუ არა მომავალში ეს საკითხები და აკადემიური პასუხი გაეცემა თუ არა კითხვას, ნამდვილად თარგმანია ის თუ ორიგინალური, ამ და მსგავსი ნაშრომების შექმნაში დასავლეთ ევროპელი კათოლიკე სწავლულების წვლილზე ლაპარაკის უფლება მაინც გვაქვს.

კათოლიკე ეკლესიის თემატიკა სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტურ საქმიანობაშიც აისახა, რასაც ქვემოთ დამოწმებული კორესპონდენციის მის მიერ შესრულებული თარგმანი ცხადყოფს:

ახალციხისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის ომს დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს გაზეთი „Тифлисские Ведомости“, რომლის ქართულ ვერსიას, ვიმეორებთ, სოლომონ დოდაშვილი რედაქტორობდა. მას ეკუთვნის საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული კორესპონდენციებისა და სტატიების თარგმანები, რომლებსაც სიტბოთი და სიყვარულით დამუშავების ბეჭედი აზის. ასეთია, მაგალითად, აღნიშნული ბრძოლის 1828 წლის 15 აგვისტოს, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, წარმატებით დამთავრების აღსანიშნი ზეიმის აღწერა, _ ზეიმისა, რომელიც თბილისის უბნებში გაიმართა.

კორესპონდენცია, რომელსაც ეწოდება „შინაგანნი ამბავნი“, სხვათა შორის, გვაუწყებს:

„(...) შეწირულ იქმნა საკათედროსა სიონის სობოროსა შინა პარაკლისი, რომელიცა აღასრულა საქართველოს ექსარხოსმა იონამ. (...) შემდგომად პარაკლისის დასრულებისა იწყეს მრავალჟამიერება ჴელმწიფე იმპერატორისა და ყოვლისა უავლუსტესისა სახლისა. (...) ამავე დღესა ტფილისის სამჯედრო ღუბერნატორის და სამოქალაქოს ნაწილის მმართველის (...) სიპიალინის მიერ სადილათ მიწვეულ იქმნენ უმათავრესნი სამლუდელონი ბერძენთა (ანუ მართლმადიდებელთა, ნ. პ.), ლუტერთა და კათოლიკეთა აღსარებისანი¹, ეგრეთვე სამოქალაქონი და სამხედრონი მოჭველენი და პატივცემულნი მოქალაქენი. (...)“ („ტფილისის უწყებანი“, 1828, 29.VIII, №9, გვ. 2).

ციტირებული ტექსტი ჩვენთვის ამჯერად საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ის დაკავშირებულია სოლომონ დოდაშვილის კალამთან და საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესიის პირველ მოხსენიებას წარმოადგენს საქართველოს პერიოდული პრესის ფურცელზე.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოლომონ დოდაშვილს კათოლიკე ეკლესიასთან კეთილი ურთიერთობა ჰქონდა, რამაც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გამდიდრებას შეუწყო ხელი.

¹ ამ თარგმანში გამოჩენილია (თუ გამოტოვებულია) სიტყვა „Армянского“, ანუ ცნობა საზეიმო წვეულებაში სომეხთა ეკლესიის მონაწილეობის შესახებ (პაპუაშვილი 2023: 101).

ლიტერატურა

- არველაძე, ბონდო. 1978. ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი, XIX-XX სს., ქართული საზოგადოებრიობა და ხ. აბოვიანის, გ. სუნდუკიანის, ოვ. თუმანიანის შემოქმედება.
- Arveladze, bondo. 1978. Kartul-somkhuri lit'erat'uruli urtiertobani, XIX-XX ss., kartuli sazogadoebrioba da kh. Abovianis, g. Sunduk'ianis, ov. Tumanianis shemokmedeba.
- დოდაშვილი, სოლომონ. 1989. თხზულებანი, თბილისი.
- Dodashvili, solomon. 1989. Tkhzulebani, tbilisi.
- თავიშვილი, გიორგი. 1948. სოლომონ დოდაშვილი (მოღვაწეობა და პედაგოგიური იდეები). ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, თბილისი.
- Tavzishvili, giorgi. 1948. solomon dodashvili (moghvats'eoba da p'edagogiuri ideebi). A. S. P'ushk'inis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo p'edagogiuri inst'it'ut'is shromebi, V, tbilisi.
- თამარაშვილი, მიხეილ. 1902. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი.
- Tamarashvili, mikheil. 1902. Ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris, t'pilis.
- ისარლიშვილი [ისარლიშვილი], ლუკა. 1898. კათოლიკენი საქართველოში [პოლემიკა სომხური გაზეთების წინააღმდეგ], გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფილისი
- Isarlishvili [isarlishvili], luk'a. 1898. K'atolik'eni sakartveloshi [p'olemik'a somkhuri gazetebis ts'inaaghmdeg], gamotsema z. Ch'ich'inadzisa, t'pilis
- კალენდარი. 1895. საქართველოს კალენდარი, ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული, თბილისი [1894]
- K'alendari 1895: sakartvelos k'alendari, valerian gunias shedgenili da gamotsemuli, tbilisi [1894]
- კეკელიძე, კორნელი. 1980. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი.
- K'ek'elidze, k'orneli. 1980. Dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria, t'. 1, tbilisi.
- კერესელიძე, ივანე. 1858. რედ. სამწუხარო ამბავი. „ცისკარი“, №6.
- K'ereselidze, ivane. 1858. Red. Samts'ukharo ambavi. „tsisk'ari“, №6.
- პაპაშვილი, მურმან. 1995. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი.
- P'ap'ashvili, murman. 1995. Sakartvelo-romis urtiertoba VI-XX ss., tbilisi.
- პაპუაშვილი, ნუგზარ 2008. კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი გაზეთ „დროების“ მასალების მიხედვით (გამოკვლევა და კატალოგი). თბილისი.

P'ap'uashvili, nugzar. 2008. K'odik'ologiur-arkeograpiuli dziebani gazet „droebis“ masalebis mikhedvit (gamok'vleva da k'at'alogi), tbilisi.

პაპუაშვილი, ნუგზარ 2019. საქართველოს ეკლესიის ორიენტაცია დიდი სქიზმის პირველ ეტაპზე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით. კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, ტ. 2, თბილისი.

P'ap'uashvili, nugzar. 2019. Sakartvelos ek'lesiis orient'atsia didi skizmis p'irvel et'ap'ze „moktsevaჲ kartლისაჲს“ mikhedvit. K'atolik'uri memk'vidreoba sakartveloshi, t'. 2, tbilisi

პაპუაშვილი, ნუგზარ. 2023. სოლომონ დოდაშვილი: სარბიელი და მემკვიდრეობა. თბილისი.

P'ap'uashvili, nugzar. 2023. solomon dodashvili: sarbieli da memk'vidreoba, tbilisi.

ჭიჭინაძე, ზაქარია. 1916. სოლ. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი (საბიოგრაფიო მასალა). „საქართველო“, 4.X, № 219; 5.X, № 220.

Ch'ich'inadze, zakaria. 1916. Sol. Dodashvili da n. Baratashvili (sabiograpio masala). „sakartvelo“, 4. X, № 219; 5. X, № 220.

ჭიჭინაძე, ზაქარია, 1919. სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების“ წინაშე. თბილისი.

Ch'ich'inadze, zakaria, 1919. Sol. Dodashvili da nik'. Baratashvili „paruli sazogadoebis“ ts'inashe. tbilisi.

ქართული პოეზია. 1980. ტ. 11: XIX ს – XX ს დასაწყისი, შეადგინა სოლომონ ხუციშვილმა. თბილისი.

Kartuli p'oezia. 1980. t'. 11: XIX s – XX s dasats'q'isi, sheadgina solomon khutsishvilma, tbilisi.

ჯოლოგუა, თამაზ, ლუკა ისარლიშვილი. 2018. საქართველო (ენციკლოპედია), ტ. 4, თბილისი.

Jologua, tamaz, luk'a isarlishvili. 2018. Sakartvelo (entsik'lop'edia), t'. 4, tbilisi.

Solomon Dodashvili and the Catholic Church in Georgia

Solomon Dodashvili (1805-1836) was the first Georgian to acquire a civilian university education. He graduated from the Faculty of Law and Philosophy at St. Petersburg University, where he developed and published a work entitled 'Introduction to Philosophy - Logic,' which received high praise from specialists, and was recognized as a textbook in the Russian Empire. Dodashvili was offered training as a university professor, but chose to return to his homeland, Georgia, to engage in scientific, pedagogical, and journalistic activities. In 1832, he was arrested on charges of participating in a conspiracy against Russian rule, and was exiled to the central Russian province of Vyatka, where he suffered from phthisis and died. Despite only living a five-year creative life there, he managed to leave behind a rich written legacy.

While there is abundant scientific literature on the life and work of Solomon Dodashvili, his relationship with the Roman Catholic Church has not yet been extensively studied. Therefore, the introduction of any new material into this field of research should be considered a desirable event. Several pieces of such material are offered to the general public for the first time through this research.

Zakaria Chichinadze was the first researcher to dedicate a monographic work to Solomon Dodashvili, in 1893. The work contains a unique report stating that Dodashvili developed close relations with Catholic priests while studying at the theological seminary in Tbilisi, and learned Latin and French with their help. Later, while working as a high school teacher and editor of the magazine 'Tbilisi Utskebani' (Tbilisi News), and actively participating in the national liberation movement, Dodashvili became close with Polish immigrants in Georgia, as well as with local Catholics and public figures such as Aleksandre Chikovani and Luka Isarlishvili, who most likely collaborated in his political organization. This organization was characterized by national and religious diversity. It is commonly known that Luka Isarlishvili was a Catholic, but the statement regarding the religion of Aleksandre Chikovani constitutes new and unique information.

Solomon Dodashvili's name is associated with the first depiction of the activity of the Georgian Catholic Church in the Georgian press.